



# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის №15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 295 23 53; ფაქსი: (995 32) 292 32 11  
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge  
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53; Fax: (995 32) 292 32 11  
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ გ-04/579.15

16.11 2015 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს  
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

## განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 5 თებერვლის N38-ე დადგენილებით დამტკიცდა შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის შესაბამისად, გთხოვთ, აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- რამდენმა დამსაქმებელმა განაცხადა წერილობითი თანხმობა პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით;
- პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე რამდენ ორგანიზაციაში/საწარმოში განხორციელდა მონიტორინგი;
- მონიტორინგის შედეგად რა ტიპის დარღვევები გამოვლინდა;
- რა რეაგირება მოჰყვა გამოვლენილ დარღვევებს;
- მომზადდა თუ არა რაიმე ტიპის რეკომენდაციები. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, გადმოგვცეთ აღნიშნული რეკომენდაციების სათანადოდ დამოწმებული ასლები;
- მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია თუ არა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სტანდარტები.

პატივისცემით,

ანა ნაცვლიშვილი

თავმჯდომარე

შემსრულებელი: ნონა ქურდოვანიძე